აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ოქმი №15

11/11/2024 წელი **ქ. ბათუმი**
12[00] საათი

სხდომას თავმჯდომარეობდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე - **პარმენ ჯალაღონია.**

სხდომას ესწრებოდნენ:

ნოდარ მელაძე - უსკოს თავმჯდომარის მოადგილე;

ტარიელ გოგიტიძე - უსკოს მდივანი;

ირაკლი გვარჯალაძე - უსკოს წევრი;

მარიამ გუგუნავა - უსკოს წევრი;

თამარ ქამადაძე - უსკოს წევრი;

ციალა შავაძე - უსკოს წევრი;

ზაალ ზაალიშვილი - უსკოს წევრი;

სულხან ტაკიძე - უსკოს წევრი - პ/გ „კი ევროპას-სტრატეგია აღმაშენებელი“;

ზურაბ გოლიაძე - კომისიის წევრი - პ/გ „გირჩი“;

დავით ქარცივაძე - უსკოს წევრი - პ/გ „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“;

ემზარ თოდუა – უსკოს წევრი - პ/გ „ევროპელი სოციალისტები“;

ავთანდილ იაკობიძე – უსკოს წევრი - პ/გ „ევროპული საქართველო-მოძრაობა თავისუფლებისთვის“;

გიორგი ხოკერაშვილი - კომისიის წევრი - პ/გ „საქართველოს ევროპელი დემოკრატები“;

ივანე ფირცხალაიშვილი – უსკოს წევრი - პ/გ „ძლიერი საქართველო-ლელო, ხალხისთვის, თავისუფლებისთვის!“;

სალომე რაზმაძე - კომისიის წევრი - პ/გ „ალეკო ელისაშვილი-მოქალაქეები“;

კახაბერ ჯაიანი - კომისიის წევრი - პ/გ „ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობა“.

აგრეთვე ესწრებოდნენ:

სულხან ჩოგაძე - საოქმო სარეგისტრაციო და საარჩევნო პროცესების მართვის დეპარტამენტის უფროსი;
ფრიდონ ბათნიძე - იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი.

საჩივრის განხილვაში მონაწილე პირი:

უშანგი მიქელაძე - მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანობა-ნაციონალური მოძრაობა“ წარმომადგენელი.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, სხდომა გახსნილად გამოაცხადა, კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

დღის წესრიგის პროექტი:

1. განკარგულება
მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების „ერთიანობა-ნაციონალური მოძრაობა“ საჩივრის (უსკოში რეგისტრაციის №01-26/166; 09.11.2024) შესახებ;

2. სხვადასხვა.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს შენიშვნები/მოსაზრებები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის წარმოდგენილი პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 16 ;

წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 16 წევრი:)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. განკარგულება
მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების „ერთიანობა-ნაციონალური მოძრაობა“ საჩივრის (უსკოში რეგისტრაციის №01-26/166; 09.11.2024) შესახებ.

1. განკარგულება
მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების „ერთიანობა-ნაციონალური მოძრაობა“ საჩივრის (უსკოში რეგისტრაციის №01-26/166; 09.11.2024) შესახებ.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს, წარუდგინა მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების „ერთიანობა-ნაციონალური მოძრაობა“ მიერ უსკოში წარმოდგენილი საჩივარი (უსკოში რეგისტრაციის №01-26/166; 09.11.2024) რის შემდეგაც საჩივრის ავტორს, სთხოვა საჩივართან დაკავშირებით თავისი მოსაზრებები გაეცნო კომისიისთვის.

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანობა-ნაციონალური მოძრაობა“ წარმომადგენელმა უშანგი მიქელაძემ აღნიშნა, რომ საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევები დაიწყო არჩევნების გამოცხადებიდან და გრძელდებოდა მთელი საარჩევნო პერიოდი, საარჩევნო პერიოდის განმავლობაში მხარეები მათ შორის პოლიტიკური პარტიები, არასამთავრობო ორგანიზაციები, საარჩევნო პროცესში ჩართული ყველა მხარე მათ შორის საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლები ეცნობოდნენ ყველა საკანონმდებლო ცვლილებას საარჩევნო კანონმდებლობის კუთხით, მისი განმარტებით ცესკოს მიერ მიღებული იქნა რამდენიმე დადგენილება, რომელიც რამდენად მოდიოდა საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობასთან და საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობაში ცალკე განხილვის საგანია. მისი განმარტებით საარჩევნო პროცესში ჩართული მხარეები სრულიად ენდობოდნენ საარჩევნო ადმინისტრაციას, იმ კუთხით, რომ პროცესი წარიმართებოდა მშვიდ და სამართლიან გარემოში.

საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ ჩატარდა რამდენიმე ღონისძიება არჩევნების ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით ჩატარებასთან დაკავშირებით, რომ ამომრჩევლებისათვის და საარჩევნო პროცესში ჩართული მხარეებისათვის გაეცნოთ ამ ტექნოლოგიების უპირატესობები და მისი მუშაობის პროცესი. პარტიების, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ვინც ჩართული იყო ამ პროცესში სვამდნენ მარტივ კითხვას, რომ რა სახის იქნებოდა ბიულეტენი, რა სისქის, იქნებოდა თუ არა ფარულობა დაცული. უშანგი მიქელაძემ აღნიშნა, რომ საქართველოს კონსტიტუციაში არის ვრცელი ჩანაწერი საქართველოს მოქალაქის (ამომრჩევლის) არჩევნებში მონაწილეობის მიღებისას მისი თავისუფალი ნების გამოხატვისა და ფარულობის დაცვასთან დაკავშირებით. მისი განმარტებით ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით ჩატარებულ არჩევნებში ამომრჩევლის ნების ფარულობა არ იყო დაცული.

(უშანგი მიქელაძის მიერ სხდომაზე დამსწრე წევრებისათვის მოხდა სადემონსტრაციოდ ბიულეტენების გაფერადება (წერტილის დასმა).

უშანგი მიქელაძემ აღნიშნა, რომ ელექტრონული ტექნოლოგიების გაცნობის პროცესში ვსვამდით კონკრეტულ შეკითხვებს ბიულეტენის ფურცლის სისქესთან დაკავშირებით, მისი გაფერადების დროს ხომ არ იქნებოდა ფარულობა დარღვეული, სადემონსტრაციოდ ნაჩვენებ ბიულეტენზე გაფერადებული წრე ჩანს ბიულეტენის მეორე მხარეს, საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლების პასუხი იყო, რომ ეს ფურცელი იქნებოდა უფრო მეტად ხარისხიანი და სქელი, ვიდრე ტრენინგების და ელექტრონული ტექნოლოგიების გაცნობის პროცესში იყო წარმოდგენილი, მაგრამ არჩევნების დღეს მივიღეთ უხარისხო თხელი ფურცელი. რაც შეეხება ჩარჩო კონვერტს ის არ იყო ფარულობის დამცავი ვინაიდან ის იყო ბიულეტენთან შედარებით უფრო მცირე ზომის ვიდრე ბიულეტენი და ჩარჩო კონვერტი ვერ გახდებოდა ამის დამცავი. იყო დაშინება საჯარო მოხელეზე არჩევანის გაკეთების დროს, რომ მათი არჩევანი ვერ იქნებოდა ფარული, საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილეები მუდმივად იდგნენ საარჩევნო ყუთთან და უქმნიდნენ ამომრჩევლებს განცდას, რომ მათ მიერ გაკეთებულ არჩევანს აუცილებლად დაინახავდნენ. უშანგი მიქელაძის განმარტებით პირად საუბრებში არაერთმა საჯარო მოხელემ მათ შორის შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა

დაადასტურეს, რომ უბანზე მათ გადასცემდნენ ისეთ ბიულეტენს, რომელზეც წერტილი იქნებოდა დასმული, არის ფაქტებიც, რომ ნამდვილად კალმით იყო ბიულეტენებზე წერტილები დასმული, ასევე იყო ბიულეტენებზე ამომრჩევლის ხელმოწერა მის მიერ გაკეთებული არჩევანის გასწვრივ, საარჩევნო უბნების ტერიტორიაზე განთავსებული იყო სხვადასხვა კომპანიების ქოლგები, აღნიშნულზე მიაჩნია, რომ სახელმწიფო თავის ხელთ არსებულ ადმინისტრაციულ რესურს იყენებს მისი პარტიული ინტერესებისთვის და სხვა უამრავი დარღვევები, მისი განმარტებით, მის მიერ აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე მიაჩნია, რომ არის სრულად სამართლებრივი საფუძველი იმის, რომ ბათილად იქნეს აჭარაში არსებული ექვსივე საოლქო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების, ასევე აღნიშნულ საარჩევნო ოლქებში გამართული კენჭისყრისა და არჩევნების შედეგები და დაინიშნოს ხელახალი არჩევნები ვინაიდან ამომრჩეველზე განხორციელდა იძულება იმ თვალსაზრისით რომ ფარულობა არ იყო დაცული.

აზრი გამოთქვეს: მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანობა-ნაციონალური მოძრაობა“ წარმომადგენელმა უშანგი მიქელაძემ, დავით ქარცივაძემ, სულხან ტაკიძემ, ზაალ ზაალიშვილმა, კახაბერ ჯაიანმა, ივანე ფირცხალაიშვილმა, ციალა შავაძემ, ზურაბ გოლიაძემ, ავთანდილ იაკობიძემ, გიორგი ხოკერაშვილმა, ფრიდონ ბათნიძემ და პარმენ ჯალაღონიამ.

დავით ქარცივაძეს მიაჩნია, რომ საჩივრის ავტორის მოთხოვნა არის ვარაუდები და არა მტკიცებულებები და უსაფუძვლობიდან გამომდინარე არ უნდა დაკმაყოფილდეს, მისი განმარტებით ადგილი არ ჰქონია არავითარი თავისუფალი ნების გამოვლენის შეზღუდვას და არც ფარულობის დარღვევას.

სულხან ტაკიძე დაინტერესდა თუ ბიულეტენზე სპეციალური მარკერით გაფერადებული მეორე მხარეს ჩანდა შესაძლებელი იყო თუ არა უბანზე კომისიის წევრების მხრიდან მომხდარიყო იდენტიფიცირება თუ ვის სასარგებლოდ გააკეთა ამომრჩეველმა თავისი არჩევანი.

უშანგი მიქელაძემ აღნიშნა, რომ მარტივად იყო შესაძლებელი იდენტიფიცირება ამომრჩეველმა ვის სასარგებლოდ გააკეთა არჩევანი.

ზაალ ზაალიშვილი დაინტერესდა, საჩივრის ავტორს მიაჩნდა თუ არა, რომ ბიულეტენის ჩარჩო კონვერტი უზრუნველყოფდა ხმის ფარულობას.

უშანგი მიქელაძემ აღნიშნა, რომ ჩარჩო კონვერტი არ უზრუნველყოფდა მის ფარულობას.

კახაბერ ჯაიანმა აღნიშნა, რომ ბიულეტენზე სპეციალური მარკერით გაფერადებული ჩანდა მეორე მხარეს და საჯარო სამსახურში დასაქმებული ადამიანების კონტროლი ამ კუთხით მარტივად იყო შესაძლებელი შესაბამისად, მიაჩნია, რომ ფარულობა იყო დარღვეული.

ივანე ფირცხალაიშვილმა აღნიშნა, რომ მან ისე გააკეთა არჩევანი და შესაძლოა ნებისმიერმა საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომელმა ან ამომრჩეველმა ისე გააკეთოს არჩევანი, რომ არ იკვეთებოდეს ფარულობის დარღვევა, მაგრამ მთავარი ისაა ერთობლიობაში დაირღვა თუ არა ნების თავისუფალი გამოვლენა და ფარულობა.

ციალა შავაძემ აღნიშნა, რომ ყველა ამომრჩევლის ნების თავისუფალი გამოვლენა და ფარულობა დაცული იყო, ხმის მიცემის ფარულობას უზრუნველყოფდა ჩარჩო კონვერტი შესაბამისად მიაჩნია, რომ საჩივარი არის უსაფუძვლო.

ზურაბ გოლიაძემ აღნიშნა, რომ ახსოვს ცესკოს რეკლამები ხმის მიცემასთან დაკავშირებით, რომ ბიულეტენი აუცილებლად გადმობრუნებული უნდა ჩაგეშვა საარჩევნო ყუთში, რა მიზანი ჰქონდა ბიულეტენის გადმობრუნებას, ხომ არ გვექნებოდა ფარულობის დარღვევას ადგილი, ასევე არსებობს ეჭვი, (საჩივარშიც მოყვანილია ფაქტები) რომ სხვისი პირადობის მოწმობით იქნა მიცემული ხმა სასურველი სუბიექტის სასარგებლოდ, დაინტერესდა აღნიშნული ფაქტის დადასტურება იყო თუ არა შესაძლებელი.

უშანგი მიქელაძემ აღნიშნა, რომ სარეკლამო რგოლების მიზანი იყო, არ დარღვეულიყო ფარულობა, რაც შეეხება სხვისი პირადობის მოწმობებით ხმის მიცემას, ეს შესაძლებელი იყო. მარტივია მისი დადასტურება, გაიხსნას ყუთები სადაც მოსული ამომრჩეველი ათავსებს ჩეკებს, მასზე არის დატანილი ამომრჩევლის ყველა ინფორმაცია ამ აპარატზე აუცილებლად იქნება ის მონაცემები თუ ვინ იყო ამ უბანზე მისული.

12:58 სთ.

სხდომაზე გამოცხადდა უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრი - ავთანდილ იაკობიძე

პარმენ ჯალაღონია დაინტერესდა, აჭარაში რომელიმე საარჩევნო უბანზე თუ აქვთ არჩევნებში ჩართული პარტიის, დამკვირვებელი ორგანიზაციის წარმომადგენელს დადასტურებული ფაქტი ან მტკიცებულება, როცა კონკრეტულმა პირმა ხმა მისცა რომელიმე სუბიექტის სასარგებლოდ.

უშანგი მიქელაძემ აღნიშნა, რომ კონკრეტული საარჩევნო უბანი არ ახსოვს, თუმცა ბათუმში იყო ფაქტი ერთ-ერთ საარჩევნო უბანზე, ამასთან დაკავშირებით და შეტანილი იყო საჩივარი.

პარმენ ჯალაღონია დაინტერესდა მარკირების პროცედურებთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონიათ საჩივრები საარჩევნო უბნებში წარდგენილი, ასევე ვერიფიკაციის აპარატის მეშვეობით ამომრჩევლის მონაცემის - პირადი ნომრის ხელით შეყვანასთან დაკავშირებით რამდენი შემთხვევა იყო დადასტურებული (იდენტიფიცირებული).

უშანგი მიქელაძემ აღნიშნა, რომ მარკირების პროცედურის დარღვევებთან დაკავშირებით მის მიერ უსკოში იყო ვიდეო და ფოტო მასალების სახით წარდგენილი ფაქტები, ხოლო ვერიფიკაციის აპარატზე ამომრჩევლის მონაცემის - პირადი ნომრის ხელით შეყვანის ფაქტი იყო ბათუმის №78 უბანზე.

პარმენ ჯალაღონიამ აღნიშნა, რომ თუ პირადობის მოწმობა არ წაიკითხა ვერიფიკაციის აპარატმა საარჩევნო კანონმდებლობის თანახმად, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრს უფლება აქვს თუ არა ხელით შეიყვანოს ამომრჩევლის პირადი ნომერი ვერიფიკაციის აპარატში. ასევე დაინტერესდა - ორი ბიულეტენით ხმის მიცემის საკითხზე და აჭარაში რომელიმე უბანზე ხომ არ დაფიქსირებულა უბანზე განკუთვნილ ამომრჩეველთა კანონით დადგენილ რაოდენობაზე მეტი ან ნაკლები ამომრჩეველი ყოფილიყო, ასევე

გადასატანი ყუთების მონაცემების მასიურად არ შეტანა ძირითად ყუთში რამდენი ფაქტი აქვთ დაფიქსირებული.

უშანგი მიქელაძემ აღნიშნა, რომ ადგილი ჰქონდა არა ერთ ფაქტს ბათუმში, როცა ამომრჩეველზე ორი ბიულეტენი იქნა გაცემული და ფიქრობს, რომ შესაძლებელი იყო ორივე ბიულეტენი მოთავსებულიყო საარჩევნო ყუთში სასურველი სუბიექტის სასარგებლოდ, მისი განმარტებით საარჩევნო უბანზე ამომრჩეველთა რაოდენობა როგორც მისთვის არის ცნობილი დადგენილ ზღვარს არ აღემატებოდა, თუმცა ფიქრობს, რომ ბათუმში 2012 წლიდან დღემდე საგრძნობლად არის მომატებული ამომრჩეველთა რაოდენობა და ეს სწორედ არჩევნებს უკავშირდება. ასევე აღნიშნა, რომ ეგრეთწოდებულ ოცნების ქალაქში არაერთი ამომრჩევლის ჩაწერა დაფიქსირდა ხელისუფლების სასარგებლოდ ხმის მიცემის მიზნით, რაც შეეხება გადასატან საარჩევნო ყუთში არსებული მონაცემების ძირითად საარჩევნო ყუთში გადატანას იყო ერთი შემთხვევა ბათუმში, რომ ავტომანქანა მთელი დღის განმავლობაში გარეთ იდგა და ყუთი არ შეიტანეს საარჩევნო უბანზე და მეორე როცა არ მოათავსეს გადასატანი ყუთის ბიულეტენები ძირითად ყუთში.

პარმენ ჯალაღონიამ აღნიშნა, რომ აჭარაში 317 საარჩევნო უბანია სადაც თითქმის ყველა საარჩევნო სუბიექტს მათ შორის მპგ „ერთიანობა-ნაციონალური მოძრაობა“-ს ყველა საარჩევნო უბანზე ჰყავდა თავისი წარმომადგენელი, ასევე იყვნენ ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციის წარმომადგენლები, დაახლოებით მხოლოდ აჭარაში 4000-მდე ადამიანი აკვირდებოდა კენჭისყრის პროცესს. რაც შეეხება საჩივრების რაოდენობას „ერთიანობა-ნაციონალური მოძრაობის“ მიერ უმაღლესი საბჭოს არჩევნებთან დაკავშირებით წარდგენილია რამდენიმე საჩივარი. სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საჩივრის დაწერა და შესაბამის კომისიაში წარდგენა საარჩევნო სუბიექტის, დამკვირვებელი ორგანიზაციის წარმომადგენლის გადასაწყვეტია, მაგრამ თუ მიგაჩნიათ, რომ მასიურად ხდებოდა საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევა - (მარკირების სითხესთან დაკავშირებით, ორ-ორი ბიულეტენის მიწოდება, ამომრჩევლის პირადი მონაცემის - პირადი ნომრის ხელით შეყვანა და სხვა დარღვევები) აჭარაში 317 საარჩევნო უბნიდან სულ რამდენიმე უბანზეა წარდგენილი საჩივარი და რატომ უნდა გაუქმდეს (გაბათილდეს) აჭარაში არსებული ექვსივე საოლქო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის

შედეგების შემაჯამებელი ოქმები, აღნიშნულ საარჩევნო ოლქებში გამართული კენჭისყრისა და არჩევნების შედეგები გაუგებარია.

უშანგი მიქელაძემ აღნიშნა, რომ მან ისაუბრა მხოლოდ რამდენიმე ფაქტზე, დარღვევებთან დაკავშირებით საჩივრები განხილული იყო საოლქო საარჩევნო კომისიებშიც, რაც შეეხება დარღვევების რაოდენობას ნამდვილად შთამბეჭდავი იყო.

ზურაბ გოლიაძემ აღნიშნა, რომ უბანზე ხმის მიცემა, დაკვირვება შემდგომში სიტუაციების გაანალიზება, ფოტო და ვიდეო მასალების ნახვა, აძლევს იმის მსჯელობის უფლებას, რომ ფარულობა თავიდან ბოლომდე იყო დარღვეული. კომისიის წევრს რომელიც იდგა აპარატებთან სრულად შეეძლო ეკონტროლებინა სხვისი ხმა, აღსანიშნავია სხვისი პირადობის მოწმობებით ხმის მიცემის ფაქტიც. მას მიაჩნია, რომ საარჩევნო ყუთის (სადაც ჩეკები არის მოთავსებული) გახსნის შემთხვევაში მარტივად არის შესაძლებელი დადგინდეს და დავრწმუნდეთ იყო თუ არა ზედმეტი ხმა ან სხვა ამომრჩეველი ამ უბანზე.

ზაალ ზაალიშვილმა აღნიშნა, რომ ხმის მიცემის ფარულობასთან დაკავშირებით ეთანხმება კომისიის წევრის, ციალა შავაძის აზრს, რომ ხმის მიცემის ფარულობას უზრუნველყოფს ჩარჩო კონვერტი, რაც შეეხება სარჩელს მიაჩნია, რომ მოთხოვნა არის უსაფუძვლო და ვერ დაუჭერს საჩივრის დაკმაყოფილებას მხარს.

ციალა შავაძემ აღნიშნა, რომ საარჩევნო ადმინისტრაციამ 2024 წლის 26 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის და უმაღლესი საბჭოს არჩევნები მაღალი სტანდარტებით ჩაატარა.

სულხან ტაკიძეს მიაჩნია, რომ ხმის მიცემის ფარულობა იყო დარღვეული, ხოლო რაც შეეხება ვერიფიკაციის აპარატებში ორმაგ ვერიფიკაციას ამის შესახებ არანაირი ფაქტი არ გაუგია, მაგრამ აქვს ეჭვი მსგავსი ფაქტების არსებობის, ვინაიდან უბნებში სადაც ვერიფიკაციის აპარატები არ იყო ერთმანეთთან დაკავშირებული და ეს თავის დროზე წინ გადადგმულ ნაბიჯად ითვლებოდა, რომ თითქოს ინტერნეტთან არ აქვს წვდომა, მაგრამ ამან წარმოშვა სხვა პრობლემა და აქვს სამართლიანი ეჭვი, რომ შეიძლება მსგავსი ფაქტები მომხდარიყო, ვინაიდან არცერთი ფაქტი არ ყოფილა ყუთი გახსნილიყო და მომხდარიყო შემთხვევითი პრინციპით გადამოწმება იქ მისული ამომრჩევლების ქვითარზე ხელმომწერი პირები არიან თუ არა ნამდვილად ამ უბნის ამომრჩეველთა სიაში და თუ იყვნენ არჩევნებზე მისულები.

ივანე ფირცხალაიშვილმა აღნიშნა, რომ ვერ დაეთანხმება გაჟღერებულ მოსაზრებას, რომ ფარულობა იყო დაცული და ჩარჩო კონვერტი უზრუნველყოფდა მის ფარულობას.

კახაბერ ჯაიანმა აღნიშნა, რომ სრულად ეთანხმება საჩივრის ავტორს ყველა ნაწილში და იზიარებს ზურაბ გოლიაძის და სულხან ტაკიძის მოსაზრებას ყუთის გახსნასთან დაკავშირებით ამოღებული იქნეს ვერიფიკაციის აპარატებიდან ამომრჩეველთა ერთიანი სია და მოხდეს შედარება ხელმოწერილ ქვითრებზე.

ავთანდილ იაკობიძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილ საჩივარს ეთანხმება და მხარს უჭერს, მიიჩნევს, რომ საჩივარში მოყვანილ ფაქტებს სადაც იკვეთება სისხლის სამართლის ნიშნები და უხვად არის წარმოდგენილი საჩივარში უნდა ეცნობოს შესაბამის ორგანოებს, ასევე მიაჩნია, რომ საჩივარში მოყვანილია სხვადასხვა ადამიანები რომლებსაც აგიტაცია ეკრძალებოდათ მაგრამ მაინც მონაწილეობდნენ ამაზე სამსჯელოა და მათ მიმართ დისციპლინური ზომებია გამოსაყენებელი, ა(ა)იპ-ის თანამშრომლები რომლებიც სამუშაო საათებში მონაწილეობდნენ აგიტაციაში, ასევე არიან ადამიანები ვინც ფეისბუქის მეშვეობით აზიარებდნენ სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების მოსაზრებებს, პედაგოგები, სკოლის დირექტორები, რაც შეეხება ხმის ფარულობას და ნების თავისუფალ გამოვლენას ამ საკითხზე ფიქრობს, რომ დარღვეულია საარჩევნო კანონმდებლობა ვინაიდან ადამიანები რომლებიც, შედიოდნენ საარჩევნო უბანზე ხმის მისაცემად მათზე იყო სხვადასხვა ფორმით ზეწოლა. ავთანდილ იაკობიძემ ასვე აღნიშნა, რომ საარჩევნო კანონმდებლობა იძლევა საშუალებას გაიხსნას ყუთი, რომ არ იყოს არანაირი ეჭვი და კითხვა აღნიშნულზე.

გიორგი ხოკერაშვილმა აღნიშნა, რომ მიესალმება თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით არჩევნების ჩატარების დანერგვას, ხოლო რაც შეეხება სარჩელს აღნიშნა, რომ მხარს უჭერს და მიაჩნია, რომ ნამდვილად იყო ამომრჩეველზე ზეწოლა, დარღვეული იყო თავისუფალი ნების გამოვლენა და ეს არის მისი მოტივაცია თუ რატომ უჭერს სარჩელს მხარს.

სხდომაზე გამოთქმული მოსაზრებების დასრულების შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსს, ფრიდონ ბათნიძეს, სთხოვა წარმოდგენილ საჩივართან

დაკავშირებით მომზადებული დასკვნის და განკარგულების პროექტის დამსწრე საზოგადოებისთვის გაცნობა.

იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსმა, ფრიდონ ბათნიძემ დამსწრე საზოგადოებას გააცნო მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების „ერთიანობა-ნაციონალური მოძრაობა“ წარმომადგენლის, უშანგი მიქელაძის საჩივართან დაკავშირებით მომზადებული დასკვნა და აღნიშნა, რომ 2024 წლის 29 ოქტომბერს, პოლიტიკურმა გაერთიანებამ ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ ყველა საოლქო საარჩევნო კომისიას მიმართა და ითხოვა მათ საარჩევნო ოლქში შემავალი თითოეული საარჩევნო უბნის კენჭისყრის შედეგების ბათილად ცნობა. მათი მოსაზრებები ეყრდნობოდა 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნების, კენჭისყრის დღესა თუ წინა საარჩევნო პერიოდის კანონდარღვევებს. მათი მოსაზრებით კენჭისყრის დღე და წინასაარჩევნო კამპანიის/აგიტაციის პერიოდი გაჯერებული იყო როგორც საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის, ისე სისხლის სამართლის სავარაუდო დანაშაულებისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტებით. წარმოდგენილ საჩივარში ასევე აღნიშნულია, რომ საოლქო საარჩევნო კომისიებმა სერიოზული დარღვევების უგულებელყოფით შეაჯამეს საარჩევნო ოლქში შემავალ საარჩევნო უბნებში ჩატარებული კენჭისყრის შედეგები, შესაბამისად, მათ მიერ გამოცემული კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმები, როგორც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები, არ არის გამოცემული საქმის ყოველმხრივი და სრული შესწავლის საფუძველზე და დაუსაბუთებელია. საოლქო საარჩევნო კომისიების მსჯელობა ხმის ფარულობის დარღვევასთან დაკავშირებით არის კონსტიტუციისა და კანონის საწინააღმდეგო, რადგან საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ შედგენილი შემაჯამებელი ოქმები არ/ვერ ასახავს მისულ ამომრჩეველთა რეალურ ნებას/არჩევანს, ფრიდონ ბათნიძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი საჩივრისა და ადმინისტრაციული წარმოების მასალების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო: საქართველოს საარჩევნო კოდექსის შესაბამისად, საარჩევნო უბანში კენჭისყრის პროცედურების დარღვევების შესახებ განცხადება/საჩივარი შედგენილი უნდა იქნეს დარღვევის შემჩნევისთანავე, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

კანონის 61-ე და 62-ე მუხლების, საქართველოს საარჩევნო კოდექსის 72-ე მუხლით დადგენილი წესით, კენჭისყრის დღის 7 საათიდან საარჩევნო ყუთის გახსნამდე, ხოლო განცხადება/საჩივარი ხმის დათვლისა და კენჭისყრის შედეგების შეჯამების პროცედურების დროს ჩადენილი დარღვევების შესახებ და კენჭისყრის შედეგების გადასინჯვის ან ბათილად ცნობის მოთხოვნით შედგენილი უნდა იქნეს საარჩევნო ყუთის გახსნიდან კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენამდე, საქართველოს საარჩევნო კოდექსის 72-ე მუხლით დადგენილი წესით. აღნიშნული განცხადება/საჩივარი წარედგინება საუბნო საარჩევნო კომისიას, რომელიც ახდენს შესაბამის რეაგირებას. საუბნო საარჩევნო კომისიის/საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ქმედება 3 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში. საქართველოს საარჩევნო კოდექსის 74-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საოლქო საარჩევნო კომისია გადაწყვეტილებას იღებს განკარგულებით, რომელიც შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ სასამართლოში ამ კანონით დადგენილი წესით. ამასთან, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის და საქართველოს საარჩევნო კოდექსის 77-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საუბნო საარჩევნო კომისიის/საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირის გადაწყვეტილება მისი მიღებიდან 3 კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში, რომელიც საჩივარს იხილავს მისი მიღებიდან 4 კალენდარული დღის ვადაში. საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს შესაბამის რაიონულ/საქალაქო სასამართლოში, რომელიც საჩივარს იხილავს მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში. რაიონული/საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო სასამართლოში, რომელიც საჩივარს იხილავს მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება. ფრიდონ ბათნიძემ აღნიშნა, რომ ზემოთ მოყვანილი ნორმების შინაარსიდან გამომდინარე, თუ საჩივრის ავტორს მიაჩნია, რომ საუბნო საარჩევნო კომისიებში ადგილი ჰქონდა კენჭისყრის პროცედურების დარღვევებს, ხმის დათვლისა და კენჭისყრის

შედეგების შეჯამების პროცედურების დროს ჩადენილ დარღვევებს, აგრეთვე საუბნო საარჩევნო კომისიების მიერ საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევით შედგენილ შემაჯამებელ ოქმებს, შეეძლოთ განცხადებებით/საჩივრებით მიემართათ შესაბამისი საარჩევნო კომისიებისათვის, ასევე აღნიშნული შემაჯამებელი ოქმები გაესაჩივრებინათ საოლქო საარჩევნო კომისიებში, ხოლო შემდეგ - რაიონულ/საქალაქო სასამართლოებში. ასევე აღსანიშნავია, რომ საერთო სასამართლოების მიერ განხილულ იქნა ა(ა)იპ-ის „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ მიერ წარდგენილი სასარჩელო მოთხოვნები ყველა ოლქში ყველა ტექნოლოგიური/ელექტრონული უბნის შედეგისა და მათთან დაკავშირებული საუბნო საარჩევნო კომისიების მიერ შედგენილი შემაჯამებელი ოქმების კანონიერებასთან დაკავშირებით, რომლებიც არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო. მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებას „ერთიანობა-ნაციონალური მოძრაობა“ საოლქო საარჩევნო კომისიებში წარდგენილი საჩივრების შესახებ ამავე კომისიების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, ასევე საუბნო საარჩევნო კომისიების მიერ შედგენილი კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმები არ გაუსაჩივრებია რაიონულ/საქალაქო სასამართლოებში. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 64-ე მუხლი ადგენს კენჭისყრის შედეგების შეჯამების წესს საოლქო საარჩევნო კომისიაში. საოლქო საარჩევნო კომისია საუბნო საარჩევნო კომისიების ოქმებისა და რაიონული/საქალაქო სასამართლოების გადაწყვეტილებების საფუძველზე, თავის სხდომაზე აჯამებს კენჭისყრის შედეგებს და ეს შედეგები შეაქვს კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმში. შესაბამისად, დადგენილია, რომ საოლქო საარჩევნო კომისიების გასაჩივრებული კენჭისყრისა და არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმები შედგენილია საუბნო საარჩევნო კომისიების კანონიერ ძალაში შესული კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმებისა და კანონიერ ძალაში შესული ყველა ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა გათვალისწინების შედეგად არ არსებობს მათი ბათილად ცნობის საფუძველი. აჭარაში არსებული საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 26 ოქტომბრის კენჭისყრისა და არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმები შედგენილია საუბნო საარჩევნო კომისიების შესაბამისი

შემაჯამებელი ოქმებისა და თანდართული შესწორებების ოქმების, აგრეთვე საოლქო საარჩევნო კომისიების შესაბამისი განკარგულებების საფუძველზე და ზუსტად ასახავს მათში შეტანილ მონაცემებს. აღნიშნულიდან გამომდინარე მიაჩნია, რომ სამართლებრივ საფუძველსაა მოკლებული საჩივრის ავტორის მოთხოვნა საოლქო საარჩევნო კომისიების კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების, ასევე აღნიშნულ საარჩევნო ოლქებში გამართული კენჭისყრისა და არჩევნების შედეგების ბათილად ცნობისა და ხელახალი არჩევნების დანიშვნის თაობაზე. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60[1] მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. მოცემულ შემთხვევებში, გასაჩივრებული სამართლებრივი აქტები, გამოცემულია უფლებამოსილი ორგანოს მიერ, მისი გამოცემისათვის კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით და არ არსებობს არცერთი ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოება, რომელიც მათი ბათილად ცნობის საფუძველი შეიძლება ყოფილიყო.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების „ერთიანობა-ნაციონალური მოძრაობა“ საჩივრის (უსკოში რეგისტრაციის №01-26/166; 09.11.2024) შესახებ განკარგულების პროექტის დამტკიცების თაობაზე - არ დაკმაყოფილდეს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების „ერთიანობა-ნაციონალური მოძრაობა“ წარმომადგენლის უშანგი მიქელაძის საჩივარი უსაფუძვლობის გამო.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 10;

წინააღმდეგი 7;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 17 წევრი:)

მიღებულია განკარგულება:

მიმდინარე წლის 09 ნოემბერს შემოვიდა მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების „ერთიანობა-ნაციონალური მოძრაობა“ საჩივარი (უსკოში რეგისტრაციის №01-26/166; 09/11/2024), რომელშიც აღნიშნულია, რომ 2024 წლის 29 ოქტომბერს, აღნიშნულმა პოლიტიკურმა გაერთიანებამ ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ ყველა საოლქო საარჩევნო კომისიას მიმართა და ითხოვა მათ საარჩევნო ოლქში შემავალი თითოეული საარჩევნო უბნის კენჭისყრის შედეგების ბათილად ცნობა. მათი მოსაზრებები ეყრდნობოდა 2024 წლის 26 ოქტომბრის არჩევნების, კენჭისყრის დღესა თუ წინა საარჩევნო პერიოდის კანონდარღვევებს. მათი მოსაზრებით კენჭისყრის დღე და წინასაარჩევნო კამპანიის/აგიტაციის პერიოდი გაჯერებული იყო როგორც საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის, ისე სისხლის სამართლის სავარაუდო დანაშაულებისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტებით. წარმოდგენილ საჩივარში ასევე აღნიშნულია, რომ საოლქო საარჩევნო კომისიებმა სერიოზული დარღვევების უგულებელყოფით შეაჯამეს საარჩევნო ოლქში შემავალ საარჩევნო უბნებში ჩატარებული კენჭისყრის შედეგები, შესაბამისად, მათ მიერ გამოცემული კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმები, როგორც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები, არ არის გამოცემული საქმის ყოველმხრივი და სრული შესწავლის საფუძველზე და დაუსაბუთებელია. საოლქო საარჩევნო კომისიების მსჯელობა ხმის ფარულობის დარღვევასთან დაკავშირებით არის კონსტიტუციისა და კანონის საწინააღმდეგო, რადგან საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ შედგენილი შემაჯამებელი ოქმები არ/ვერ ასახავს მისულ ამომრჩეველთა რეალურ ნებას/არჩევანს.

წარმოდგენილი საჩივრისა და ადმინისტრაციული წარმოების მასალების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს საარჩევნო კოდექსის შესაბამისად, საარჩევნო უბანში კენჭისყრის პროცედურების დარღვევების შესახებ განცხადება/საჩივარი შედგენილი უნდა იქნეს დარღვევის შემჩნევისთანავე, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 61-ე და 62-ე მუხლების, საქართველოს საარჩევნო კოდექსის 72-ე მუხლით დადგენილი წესით, კენჭისყრის დღის 7 საათიდან საარჩევნო ყუთის გახსნამდე, ხოლო განცხადება/საჩივარი ხმის დათვლისა და კენჭისყრის შედეგების შეჯამების პროცედურების დროს ჩადენილი დარღვევების შესახებ და კენჭისყრის შედეგების გადასინჯვის ან ბათილად ცნობის მოთხოვნით შედგენილი უნდა იქნეს საარჩევნო ყუთის გახსნიდან კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენამდე, საქართველოს საარჩევნო კოდექსის 72-ე

მუხლით დადგენილი წესით. აღნიშნული განცხადება/საჩივარი წარედგინება საუბნო საარჩევნო კომისიას, რომელიც ახდენს შესაბამის რეაგირებას. საუბნო საარჩევნო კომისიის/საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ქმედება 3 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში. საქართველოს საარჩევნო კოდექსის 74-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საოლქო საარჩევნო კომისია გადაწყვეტილებას იღებს განკარგულებით, რომელიც შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ სასამართლოში ამ კანონით დადგენილი წესით.

ამასთან, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის და საქართველოს საარჩევნო კოდექსის 77-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საუბნო საარჩევნო კომისიის/საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირის გადაწყვეტილება მისი მიღებიდან 3 კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში, რომელიც საჩივარს იხილავს მისი მიღებიდან 4 კალენდარული დღის ვადაში. საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს შესაბამის რაიონულ/საქალაქო სასამართლოში, რომელიც საჩივარს იხილავს მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში. რაიონული/საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება მისი მიღებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო სასამართლოში, რომელიც საჩივარს იხილავს მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ზემოთ მოყვანილი ნორმების შინაარსიდან გამომდინარე, თუ საჩივრის ავტორს მიაჩნია, რომ საუბნო საარჩევნო კომისიებში ადგილი ჰქონდა კენჭისყრის პროცედურების დარღვევებს, ხმის დათვლისა და კენჭისყრის შედეგების შეჯამების პროცედურების დროს ჩადენილ დარღვევებს, აგრეთვე საუბნო საარჩევნო კომისიების მიერ საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევით შედგენილ შემაჯამებელ ოქმებს, შეეძლოთ განცხადებებით/საჩივრებით მიემართათ შესაბამისი საარჩევნო კომისიებისათვის, ასევე აღნიშნული შემაჯამებელი ოქმები გაესაჩივრებინათ საოლქო საარჩევნო კომისიებში, ხოლო შემდეგ - რაიონულ/საქალაქო სასამართლოებში.

აღსანიშნავია, რომ საერთო სასამართლოების მიერ განხილულ იქნა ა(ა)იპ-ის „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ მიერ წარდგენილი სასარჩელო მოთხოვნები ყველა ოლქში ყველა ტექნოლოგიური/ელექტრონული უბნის შედეგისა და მათთან დაკავშირებული საუბნო საარჩევნო კომისიების მიერ შედგენილი შემაჯამებელი ოქმების კანონიერებასთან დაკავშირებით, რომლებიც არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებას „ერთიანობა-ნაციონალური მოძრაობა“ საოლქო საარჩევნო კომისიებში წარდგენილი საჩივრების შესახებ ამავე კომისიების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, ასევე საუბნო საარჩევნო კომისიების მიერ შედგენილი კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმები არ გაუსაჩივრებია რაიონულ/საქალაქო სასამართლოებში.

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 64-ე მუხლი ადგენს კენჭისყრის შედეგების შეჯამების წესს საოლქო საარჩევნო კომისიაში. საოლქო საარჩევნო კომისია საუბნო საარჩევნო კომისიების ოქმებისა და რაიონული/საქალაქო სასამართლოების გადაწყვეტილებების საფუძველზე, თავის სხდომაზე აჯამებს კენჭისყრის შედეგებს და ეს შედეგები შეაქვს კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმში.

შესაბამისად, დადგენილია, რომ საოლქო საარჩევნო კომისიების გასაჩივრებული კენჭისყრისა და არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმები შედგენილია საუბნო საარჩევნო კომისიების კანონიერ ძალაში შესული კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმებისა და კანონიერ ძალაში შესული ყველა ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა გათვალისწინების შედეგად არ არსებობს მათი ბათილად ცნობის საფუძველი.

№79 ბათუმის, №80 ქედის, №81 ქობულეთის, №82 შუახევის, №83 ხელვაჩაურის, №84 ხულოს საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 26 ოქტომბრის კენჭისყრისა და არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმები შედგენილია საუბნო საარჩევნო კომისიების შესაბამისი შემაჯამებელი ოქმებისა და თანდართული შესწორებების ოქმების, აგრეთვე საოლქო საარჩევნო კომისიების შესაბამისი განკარგულებების საფუძველზე და ზუსტად ასახავს მათში შეტანილ მონაცემებს.

შესაბამისად, სამართლებრივ საფუძველსაა მოკლებული საჩივრის ავტორის მოთხოვნა საოლქო საარჩევნო კომისიების კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების, ასევე აღნიშნულ საარჩევნო ოლქებში გამართული კენჭისყრისა და არჩევნების შედეგების ბათილად ცნობისა და ხელახალი არჩევნების დანიშვნის თაობაზე.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60[1] მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები.

მოცემულ შემთხვევებში, გასაჩივრებული სამართლებრივი აქტები, გამოცემულია უფლებამოსილი ორგანოს მიერ, მისი გამოცემისათვის კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით და არ არსებობს არცერთი ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოება, რომელიც მათი ბათილად ცნობის საფუძველი შეიძლება ყოფილიყო.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ტ“ ქვეპუნქტის და 73-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. არ დაკმაყოფილდეს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების „ერთიანობა-ნაციონალური მოძრაობა“ საჩივარი (უსკოში რეგისტრაციის №01-26/166; 09.11.2024 წ.) უსაფუძვლობის გამო.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

სხდომაზე სხვა განსახილველი საკითხები არ წამოჭრილა.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე **პარმენ ჯალაღონია**

კომისიის მდივანი **ტარიელ გოგიტიძე**